# მომავალი

—საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი—

**№ 81** ხუთშაბათი, 3 დეკემბერი 1909 წ. **№ 81**

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. პირველ ნოემბრიდან წლის ბოლომდე თფილისში 1 მან. 60 კაპ. თფილისს გარით 1 მან. 80 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.


ხელის მოწერა **მიიღება 1910** წლისათვის

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

## „მომავალი“

1910 წელსაც გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წელს გამოდის. გაზეთი წლიურათ ეღირება თფილისში და თფილის, გარეთ 7 მან., ნახევარ წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ 14 მ. წლით, ნახევარი წლით 7 მ. ხელის მოწერა მიიღება თფილისში «მომავალი»-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში პ. ურუშაძესთან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», **Калистрату Конст. Цуладзе.**

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე მ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.
**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღალაშვილი გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.
**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—2½ ს.
**ფირალოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.
**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.
**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს.
**სოგოლევსკი გ. მ.** ქირურგ. ყოველ დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სნებით. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—51)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შელავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღია ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. მაშაყმაძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.
**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე ... ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით. (100—51)

## თფილისის სახაზინო თეატრი

პეტერბურგის დრამატიული თეატრის ვ. ფ. კომმისარჟევსკაიას **გასტროლები**, 6-დან 13 დეკემბრამდის.

ვერა ფეოდოროვნა **კომისარჟევსკაიას** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

კვირას, 6 დეკემბერს
**„ს ა მ შ ო ბ ლ ო“**
დრამა 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა

სამშაბათს, 8 დეკემბერს
**„ნ ო რ ა“**
დრამა 3 მოქმ. იბსენის, თარგ. განზენისა.

ხუთშაბათს, 10 დეკემბერს
**„უ მ ზ ი თ ვ ო“** (безприданница)
დრამა 4 მოქმ. ოსტროვსკისა.

შაბათს, 12 დეკემბერს
**„ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ნ ა დ ი მ ი“**
ახალი პიესა პშიბიშევსკისა 4 მოქმედება.

ორშაბათს, 7 დეკემბერს
**„დ ი კ ა რ კ ა“**
კომ. 4 მოქმ. ოსტროვსკის და სოლოვიევის

ოთხშაბათს, 9 დეკემბერს
**„სასტუმროს პატრონი ქალი“**
კომ. 3 მოქმ. 4 სურ. გოლდონისა.

პარასკევს, 11 დეკემბერს
**„პეპელათა ბრძოლა“**
კომ. 4 მოქმ. ზუდერმ. თარგ. კუმანინისა.

კვირას, 13 დეკემბერს
**„ოგნი ივანოვოი ნოჩი“**
დრ. 4 მოქმ. ზუდერმან. თარგ. საბლინისა

**დასაწყისი საღამოს 8 ს.** დირექციის რწმუნებული პ. ა. რუდინი

წარმოდგენა 20. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 8.

**შაბათს, 5 დეკემბერს** 1909 წელს ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა პართენ გოთუასი

## პარტიის კაცი?!

მონაწილეობენ ქ-ნნი: მ. მდივანი, ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. გრიშაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხაშმელი, კ. მესხი, მურვანიშვილი, მგალობლიშვილი, ი. ზარდალიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქეიძე, შ. საფაროვი, ვ. ურუშაძე.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი: ლოჟები 12 მ. 50 კ.-დან 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე; გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

**ვისაც აბონიმენტის ფული შემოტანილი არ აქვს სრულათ, თეატრში არ შეუშვებენ.**

მზადდება წარმოსადგენათ: ახალი პიესა ვ. ყიფიანისა «სამეგრელოს მთავარი ლევანი», ამ პიესისათვის იხატება დეკორაციები და იკერება ტანისამოსები. „ნერონი“, 10 დეკემბერს წარმოდგენილი იქნება ახალი პიესა „წყურვილი“, ახალის დეკორაციებით.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

## ქუთაისის თეატრი

**ხუთშაბათს, 3 დეკემბერს 1909 წ.** ქუთაისის დრამატიული საზოგადოების დასის მიერ დამსახურებულ მსახიობ ქალის **ნატალია გაბუნია-ცაგარლის 30 წლის მოღვაწეობის ალსანიშნავათ** გამართულ იქნება საიუბილეო წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნება:

I **„ხანუმა“**,—პირველი მოქმედება.
II **„ორი ობოლი“**,—მეხუთე მოქმედება.
III მილოცვა და მიგებება სხვადასხვა დაწესებულებათა, საზოგადოებათა და პირთა.
IV **აპოთეოზი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

წარმომადგენლები სხვადასხვა დაწესებულებათაგან უნდა გამოცხადდენ დავით კლდიაშვილთან ქალაქის გამგეობაში ხუთშაბათ დილამდის.

ბილეთები იყიდება 30 ნოემბრიდან თეატრის კასაში.

ქუთაისის დრ. საზ. გამგეობა და სადღესასწაულო კომიტეტი.

სადღესასწაულო **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა № 10.
(დირექცია ამო-ხარაზიანი)
**კვირას, 6 დეკემბერს** 1909 წელს

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის ალსანიშნავათ**

ქართველთა და სომეხთა დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა შეერთებული დასების მიერ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

1. ქართულათ **ორი ობოლი** მე 5 მოქ. დენიერისა, თარგ. ცაგარლისა.
2. სომხურათ **დაქცეული ოჯახი** მე-3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
3. ქართულათ **ხანუმა** 1-ლი მოქ. ა. ცაგარლისა.
4. **საკონცერტო განყოფილება**,

რომლის დროსაც ქართულ-სომხურ დრამატიულ ხელოვნების მოყვარულნი მიულოცავენ იუბილიარს დღესასწაულს. ქართული მომღერალთა გუნდი შეასრულებს რამდენიმე სიმღერას ბ-ნ ჩარკვიანის ლოტბარობით, ხოლო სომხურ მომღერალთა გუნდი ბ-ნ მურადიანისა.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ✦ **ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.**

ამ წარმოდგენის შემოსავალი გადაცემა გაბუნია-ცაგარელს.

ვისაც სურს დღესასწაულში მონაწილეობა მიიღოს, უნდა მიმართოს ავლაბრის თეატრის დირექციას ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

რეჟისორი ს. სვიმონიძე გამგე თ. ნასიძე

არც ერთ თამბაქოს ქარხანას არ შეუძლია კონკურენცია გაუწიოს ღირსებით ახლათ გამოშვებულ პაპიროსებს:

**„Дружба“ И „Товарищъ“** 20 ცალი 5 კაპეიკი

ყოველ დღე იყიდება **200,000** ცალი.

ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

**თამბაქოს ქარხანა** ნ. ი. ბოზარჯიანცისა შვილებით. 10—7

**1910 წლისთვის**

მიიღება ხელის მოწერა

**ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე**




ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

## პრემიათ გაეგზავნება
## ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიიღებენ: **აზიანი, ბლიკვამე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ჩიტნა, ტ. რამიშვილი, რუხამე, რუშაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

ქ. ბ ა თ უ მ შ ი

ავეჯეულობის და ჭურჭლეულობის

მ ა ღ ა ზ ი ა

## კ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ქეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთული და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—5—5)

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ კვირას, დეკემბრის 6-ს სამეურნეო ბანკში დანიშნულია

## წლიური საზოგადო კრება

**განსახილველი საგნები:**

1. 1908 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1910 წ. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.
4. მიმდინარე საქმეები.
5. ახალი წევრების მიღება.

კრება დაიწყება დილის 11 ს. (3—2)

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

კბილის ექიმი

## ს, ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

დ. ჭიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლოს.

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

გაზეთ «**მომავალი**»-ზე ხელის მოწერა და „**მომავალი**“-ში დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რკინის გზის შკაფის გამგე **ლევან ბუაძესთან.** აქვე იშოვება ყველა ადგილობრივი და სატახტო ჟურნალ-გაზეთები.

რკ. გზ. შკაფის გამგე **ლევან ბუაძე.** (10—6)

ქართული ოპერა

**კვირას, 13 დეკემბერს 1909 წ.**

თავად-აზნაურთა თეატრში

ქართულს ენაზე წარმოდგენილი იქნება

## სევილიელი დალაქი

ოპერა 3 მოქ. 4 სურათად, მუსიკა როსსინისა, თარგმანი ვ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კალანდაძისა, ბაქრაძისა; ბ-ნნი რჩეულიშვილი, აგასოვი, ცხომელიძე, კარგარეთელი და კერაკიშევი.

რეჟისორობს დამსახურებული არტისტი იოსებ ივანეს-ძე რატიანი.

სუფლიორი მ. მოლოდინაშვილი.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

# პრესა

გაზეთი „რანნეე უტრო“ ეხება ამას წინათ მოსკოვში მსხვილ ვაჭარ-მრეწველთა მიერ დაარსებულ, ეგრეთ წოდებულ „ეკონომიურ სასაუბროს“ (экономическія собесѣдованія) მოქმედებას, სადაც კაპიტალისტების დამცველ ეკონომისტთა მიერ „საუბარი“ იმართება და ამბობს:

**წინათ, „კონსტიტუციამდე“, რუსეთის მწარმოებელნი თავიანთ ინტერესების დასაცავათ არ გამოდიოდენ საჯაროთ, კრებებზე ან პრესაში. მაშინ მათ უფრო ნაყოფიერათ მიაჩნდათ სხვადასხვა დეპარტამენტთა კულისებში „მოღვაწეობა“, სადაც მათთვის მზათ იყო სახაზინო «ზაკაზე-**

ბი», სუბსიდიები, სხვადასხვა შეღავათები და სხ. ეხლა კი, წარმოებასაც ევროპიული დაღი დაესვა და მრეწველებიც იძულებული გახდენ რიგე აიხადონ. მათი სურვილი თუმცა არსებითათ იგივეა, რაც წინათ იყო, მარა ეხლა ისინი საჯაროთ ლაპარაკობენ და ამასთან, კითხვაც გართულდა. ამიტომ თითოეულმა მწარმოებელმა რომ ცალ-ცალკე არ იწვალოს, დაარსდა ვაჭარ-მრეწველთა სიეზდის საბჭო, რომელიც მწარმოებელთა ინტერესებს იცავს. თითოეული მწარმოებლის წინანდელი მხდალი ჩურჩულის მაგიერ სხვადასხვა კანცელიარიებში, ამ ჟამათ გაისმის სიეზდის „ავტორიტეტული“ ხმა, სადაც მინისტრები და საკანონმდებლო დაწესებულების ზოგიერთი დეპუტატებიც კი იღებენ მონაწილეობას. მართალია, საკმაო სიეზდი ოდნავ მაინც შეეხოს მუშათა საკითხს ან მომხმარებლებთან დამოკიდებულებას, რომ მათი ნამდვილი სახე წინ დაგიდგეთ, მარა ასეთ კითხვებს ყოველთვის გზას უვლიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ სიეზდის მუშაობას უანგარობის ბეჭედი ესვას, რასაც ვითომ მწარმოებლები საშოვლოს სასარგებლოთ ეწევიან.

შემდეგ გაზეთი შენიშნავს, რომ წინათ მრეწველები ფიქრობდენ მხოლოდ კაპიტალის შეძენაზე, მიუხედავათ იმისა—„პატიოსანი“ გზით იქნებოდა თუ „უპატიოსოთი“, არ უწევდენ ანგარიშს საზოგადოებრივ აზრს—მეცნიერების წარმომადგენელთ, ინტელიგენციას და სხ. ოღონდ კი მთავრობა მადლიერი ჰყოლოდათ. ეხლა კი გარემოება შეიცვალა და მრეწველებსაც სურთ, რომ „საზოგადოებრივმა აზრმა“ მისცეს მათ კეთილსაიმედობისა და უანგარობის მოწმობა, რომ ისინი იღვწიან სამშობლოს საკეთილდღეოთ და სხ.

იმ მიზნით შექმნეს ზემოხსენებული ინსტიტუტი, რომ დაინტერესონ ინტელიგენცია ვაჭრობა-მრეწველობით და ამ რიგათ გადაარჩინონ ისინი სოციალისტურ წუობილებაზე ფუჭ ოცნებობას.

გაზეთის თქმით მრეწველების «მოღვაწეობას» ნაყოფი გამოუღია. ერთი წლის განმავლობაში მათ ბევრი ინტელიგენტეი „მოურჯულებიათ“. ასე რომ, შემდეგ „მოსწავლეებს მასწავლებელთათვის უჯობნიათ“; ყველასთის „უჯობნია“, როგორც გაზეთი გადმოგვცემს, ცნობილ ... მოებელთა სინდიკატებზე ჩამოვარდნილა ლაპარაკი, „მუსაიფის“ დროს, ერთი დამსწრე თურმე ამტკიცებდა მცხოვრებთათვის, საქონლის მყიდველთათვის, სინდიკატების მავნებლობას, ვინაიდან შეერთებული წარმოება საქონელზე ფასების აწევას გამოიწვევსო, პ. სტრუვემ „დაამტკიცა“ თურმე ასეთი „მონოპოლიის ბუნებრივობა“ და მწარმოებლების ცდა ამ მხრივ მათდამი „ღვთისაგან მინიჭებულ უფლებათ“ აღიარა.

ამის შესახებ გაზეთი ნაღვლიანათ შენიშნავს:

იყო დრო, როცა რუსეთის ინტელიგენცია ხალხის ინტერესების ფხიზელი დარაჯი იყო, გაურბოდა მწარმოებლებთან რაიმე საქმის დაჭერას და ყოველთვის, როცა მწარმოებლები ორგანიზაციულათ გამოსვლას ეპირებოდენ, ხალხს ეუბნებოდენ: „უფრთხილდით ჯიბეებს“-ო, მარა ეხლა ყველაფერი შეიცვალა. მწარმოებლების მიერ დაარსებულ ინსტიტუტში „სწავლის მიღების“ შემდეგ მეცნიერების წარმომადგენელნი ამტკიცებენ, რომ სინდიკატები, რომლებიც ხალხს გამყვლეფავათ იქნებიან მოგლენილი, თითქოს „ღვთისაგან იყოს მოვლინებული“.

ბურჟუაზიული ინტელიგენციის ასეთი მოქმედება სულაც არ არის გასაკვირი, მსხვილ მრეწველებს და ბურჟუაზიასაც ხომ უნდა ჰყავდეს თავისი ინტერესების, თვალთაზრისის „მეცნიერულათ“ დამამტკიცებელ-დამცველი ინტელიგენცია და აკი იცავენ და „ასაბუთებენ“ კიდეც. ასე ყოფილა ყოველგან და რათ უნდა უკვირდეს ვინმეს თუ ასე ხდება რუსეთშიაც.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** გენერალ-გუბერნატორის ბრძანებით ჩამოახრჩვეს ორი მკვლელი, მათ შორის სათარხანის ნათესავი. ბაგირ-ხანის ფიდაებმა გაძარცვეს სერამის ახლო-მახლო ადგილები.

რუსეთის საგენერალო საელჩომ სადილი გაუმართა გენერალ-გუბერნატორს. დაესწრო ადგილობრივი მთავრობა.

თავრიზში შესდგა მრავალი, ერთი მეორეს მოქიშპე პარტიები. დაბეჯითებითი ხმები გავრცელდა, რომ გენერალ-გუბერნატორი მუხდურუს-სალტანე გადადგება და მის ადგილას დაინიშნება ეინუდ-დოულე ან ალაუდ-დოულეო.

... მთავრობამ მიმართა ინგლისის და რუსეთის მისიებს მისცენ სესხათ ნახევარი მილიონი გირვანქა სტერლინგი.

### საზღვარ-გარეთ

**ბრიუსელი.** 30 ნოემბერს მეფემ მიიღო წმინდა ზიარება. განზრახულია დილით, 1 დეკემბერს აპერაცია გაუკეთონ.

**ბრიუსელი.** დილის ათ საათსა და 55 წუთზე მეფეს გაუკეთეს აპერაცია. აპერაცია კარგათ გათავდა.

**ვალდივია** (ჩილი). ცეცხლმა გაანადგურა ქალაქის დიდი ნაწილი. დაიწვა დამოენის შენობა.

**ბრიუსელი.** ექიმებს იმედი აქვთ, რომ მეფე სიკვდილს გადაურჩება. დილის თერთმეტ საათზე მეფე გრძნობაზე მოვიდა და იკითხა აპერაციის შედეგი. ორ საათზე გამოსული ბიულეტენი ამბობს, რომ მეფეს თანდათან უკეთესობა ეტყობა.

**ვენა. ფრიდიუნგის პროცესი.** სასამართლომ უარყო მოიწვიოს მოწმე-სერბიელები. პროფესორმა მარკოვიჩმა, რომელიც თავის ნებით გამოცხადდა სასამართლოში, უარყო, თითქო საზოგადოება სლოვენთა ჩრდილოეთი შეთქმულთა კლუბი იყოს. მარკოვიჩი ყველა ოქმებს და ფულის გადასაგზავნ ბარათებს ყალბათ სთვლის. საიდუმლო სხდომები, როგორც ეს სასამართლოში სთქვეს, არასოდეს არ ყოფილა. მარკოვიჩი კატეგორიულათ უარყოფს ფრიდიუნგის მიერ მოყვანილ ყველა ფაქტებს. ბრალდებულის რწმუნებულის თხოვნა, შეეკითხონ დუმის წევრ მილიუკოვს—გაუგზავნა თუ არა მან 2000 მანათი თოფების სისყიდლათ სლოვენთა ჩრდილოეთს, ავსტრო-უნგრეთთან საბრძოლველათ სასამართლომ უარყო.

### რუსეთი.

**ეკატერინოდარი.** 9 იანვარს საოლქო გამგეობა იწვევს ყუბანის ნავთის მრეწველთა პირველ სიეზდს.

**პეტერბურგი.** სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია აღმოსავლეთ-ციმბირის მსროლელთა პოლკის პოდპორუჩიკის მუძალევსკის საქმე. მას აბრალებდენ, რომ ყალბი ცნობები მიაწოდა უფროსებს, თითქო მან გმირული საქმეები ჩაიდინა რუსეთ-იაპონიის ომის დროს, რისთვისაც ის წმ. გიორგის ჯვრით იქნა დაჯილდოვებული. სამხედრო სასამართლომ მუძალევსკის ერთი წლის და ოთხი თვის ციხე მიუსაჯა და დაადგინა ჩამოერთვას წმ. გიორგის ჯვარი. განაჩენი წარედგინა უმაღლესად დასამტკიცებლათ.

**ნოვოჩერკასკი.** სტანიცა კამენსკიში ... შახტის ბილეთები, დაიჭირეს სახლის პატრონი—გლეხი და ცხრა გარეშე პირი, რომლებიც მონაწილეობას იღებდენ ამ საქმეში.

**მიშკინი.** სოფელ ფროლოვსში ერობამ გახსნა უფასო კურსები მერძეობის შესახებ.

**ხარკოვი.** სამხრეთ-რუსეთის სამთო მრეწველთა სიეზდზე დაადგინეს დონეცკის ბასეინის მუშათა რეგისტრაცია მოახდინონ. ამისთვის 1910 წელს მუშათა სრულიად აღწერა მოხდება.

**პეტერბურგი.** სარწმუნოების შესახებ კომისიამ სცნო, რომ მინისტრის ნებართვით შემდგარი სარწმუნოებრივ საზოგადოებებს ნება ეძლევათ დაუბრკოლებლათ გაავრცელონ თავიანთი მოძღვრება არსებულ კანონების ფარგლებში.

**პეტერბურგი.** უკანასკნელ ხანებში ჟურნალ-გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო, რუსეთ-იაპონიის მოსალოდნელ შეტაკების შესახებ. გაზეთები სავსეა შორეულ აღმოსავლეთის ამბებით და სამწუხაროთ, ეს ცუდ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ამ ხმების წყალობით შორეულ აღმოსავლეთის მწარმოებლები მთავრობის ორგანოებს მიმართავენ და სთხოვენ გააგებინონ—არის თუ არა იმედი შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობის დაცვის შესახებ. საიმპერატორო მთავრობა თავის მოვალეობათ სთვლის კატეგორიულათ გამოაცხადოს, რომ ყველა ხმები რუსეთ-იაპონიას შორის მოსალოდნელ შეტაკების შესახებ, ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ომის გათავების შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში საიმპერატორო მთავრობა ცდილობდა განემტკიცებია მეგობრული კავშირი იაპონიასთან და მიაღწია კიდეც მიზანს, რის დამამტკიცებელიც არის მრავალი სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებები. ამ მხრით ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვს 1907 წლის ხელ-შეკრულობას შორეულ აღმოსავლეთში ორივე სახელმწიფოში ტერიტორიალურ უფლების ხელშეუხებლობის შესახებ.

კერძოთ ჩვენსა და იაპონიას შორის დამოკიდებულებას, სრულიად ის ხასიათი არა აქვს, რომელსაც გაზეთები აწერენ. 1907 წლიდან ამ ორ სახელმწიფოს შორის არავითარი უთანხმოება არ მომხდარა. პირიქით, ყველა ცნობები, რომლებსაც საგარეო საქმეთა სამინისტრო ღებულობს, აშკარათ მოწმობენ იმას, რომ რუსეთ-იაპონია მტკიცეთ იცავს იმ პრინციპს, რომ ყოველივე, მათ შორის, მომხდარი უთანხმოება მშვიდობიანის გზით გადასწყვიტონ.

ტამ, ნაფიც მსაჯულთა თანდასწრებით, ჟურნალისტ ვოდოვოზოვს გაზეთ „ნაშა ჟიზნში“ წერილების დაბეჭდვისათვის რომლითაც ის ჯარისადმი სიძულვილს ავრცელებდა, ერთი წლის ციხე მიუსაჯა.

### ხოლერა.

**პეტერბურგი.** ავათ გახდა 6, არ... მომკვდარა. ავათ არის 31.

**მოსკოვი.** ავათ გახდა 8, მოკვდ...

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი

**მოსწავლეების დატუსაღება.** სტამ...ლის სამხედრო სკოლაში ადმინისტ...ციას ჩხრეკა მოუხდენია და მოწაფე... დაუტუსაღებია. მოწაფეებს გაჩხრ... დროს დიდძალი რეაქციონერი ლი...რატურა აღმოსჩენიათ.

**იზეთ-ფაშას დაბრუნება.** ოსმალ... მთავრობამ აბდულ ჰამიდის ყოფილ ... ვანს იზეთ-ფაშას ოსმალეთში დაბრუ...ბის ნება მისცა. ახალგაზდა ოსმალ... წრეებში ამ განკარგულებამ დიდი უ...ყოფილება გამოიწვია. ბევრი კაც... დიდ ვეზირ ხილმი-ფაშას.

**ტიპალდოსი ციხეში.** ტაპალდოსის ნახავათ ციხეში მივიდენ ათინაში მცხ...რები კეფალონელები. რადგან ტიპა...დოსის ნახვა 300-ს კაცს სურდა, მნა...ლები ჯგუფ-ჯგუფებათ დაყვეს და ... შეუშვეს ციხეში. კეფალონელებმა ... ვიანთ გმირს ბევრი ყვავილები და ხ... მიუტანეს საჩუქრათ.

**15 კაცის სიკვდილით დასჯა.** ს...ხედრო სასამართლომ სიკვდილით დას... გადაუწყვიტა 15 კაცს, რომელთაც ა...ნის მცხოვრებთა აწიოკებაში მონაწი...ობა ბრალდებოდათ. განაჩენი უკვე ს...რულეში მოიყვანეს.

### სპარსეთი.

**შახსევანების მოძრაობა.** გარეშე ... ქმეთა საამინისტროში თავრიზიდან დე...ში მიიღეს, რომლითაც იტყობინება, რომ თეირანის სამხრეთით შახსევან... ძალებს კრებენ და ახალი გალაშქრე...სათვის ემზადებიანო. სპარსეთის მთა...რობამ შახსევანების წინააღმდეგ ძლი... რაზმი გაგზავნა.

### შორეული აღმოსავლეთი

**იაპონიელების უკმაყოფილება.** „... მესს“ ტოკიოდან დეპეშით ატყობინებ..., რომ ჩინეთის მოქმედება იაპონიაში დ... უკმაყოფილებას იწვევს. ჩინეთმა ფ...ტიურათ ხელში ჩაიგდო მუკდენ-ან... ... სათავო-გამგეობა. ... პონიამ ამის შესახებ მოლაპარაკება ... მართა ჩინეთთან, მაგრამ უკანასკნელისაგ... მან პასუხი ვერ მიიღო. იაპონიის გა...თები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ შე...ძლებელია ჩინეთს მიენდოს მანჯური... მცხოვრებთა მფარველობა.

---

## სტუდენტი ივანოვი.

(კოხანოვსკიდან.)

### I

ოთხი წლის განმავლობაში ითმენდა სიღარიბესა და შიმშილს უთვისტომო, 24 წლის ახალგაზრდა სტუდენტი ივანოვი. ბოლოს ის დაიღალა და მისი ფიქრები წყვდიადისა და სასოწარკვეთილების ბუდეთ გადაიქცა. ხშირათ მთელი ღამეების განმავლობაში უძილო, იგი მუდამ ფიქრობდა რომ შესაძლო იყო მისი ცხოვრების სხვა გვარობა, თუ მას ჰქონოდა ფული და ასცდენოდა ნაცადი შიმშილი და გაჭირვება. მაშინ ყველანი სხვა გვარი აზრისანი იქნებოდენ მასზე, სულ სხვა თვალებით დაუწყებდენ ცქერას და თვით მოლაპარაკეთა ხმაც უფრო ალერსიანი,—სახე უფრო მომღიმარი იქნებოდა. დიასახლისი, რომლის ოთახებშიაც იგი სცხოვრობდა, მამები ბავშვებისა, რომლებსაც ის ასწავლიდა, მეეზოვენიც, მეკარენიც და თვით მისი სულიერი მდგომარეობა და ქცევაც ეხლანდელს არ ემსგავსებოდენ. იმ დროს შეიძლება ბევრიც ეცინა, და ხშირათ რუხვი, ნოტიო ცა შემოდგომისა აღარ მოსჩვენებოდა ისე წყვდიადით მოცული და სევდიანი.

ივანოვი თავმოყვარე კაცი იყო და დიდხანს ყველასაგან მალავდა თავის გაჭირვებას, შიმშილს და წვალებას. ფიქრობდა: „უმჯობესია თავი მოვიკლა როცა აუტანელი გახდება ასეთი ცხოვრება“, მაგრამ შემდეგ დაიღალა, ხასიათი დაუსუსტდა და ხანდახან ამხანაგებსა და ახალგაზრდა ქალს, რომელიც უყვარდა დაუწყო ლაპარაკი რომ მისი ცხოვრება მეტად აუტანელია, და რომ სიცოცხლე და ადამიანები უარსა ჰყოფენ მას. ამხანაგები უსმენდენ და არ შემძლენი დახმარებისა, თავიანთ შიმშილსა და გაჭირვებასაც უამბობდენ, ხოლო მხიარულ მის საყვარელ ქალს მალე მოსწყინდა ყური დაეგდო და ივანოვი ხელ-ახლა მარტო დარჩა.

შემოდგომა იყო და ვით გარეთ, ისე ივანოვის საცხოვრებელ ოთახშიდაც სიცივე დაიწყო. მას არ ჰქონდა თბილი პალტო და როგორც უნივერსიტეტში, ისე გაკვეთილებზედაც საზაფხულო ჩასაცმელით დადიოდა, ხოლო ღამით კი, კანკალებდა საზაფხულო სახურავს ქვეშ. შემდეგ იგი უნივერსიტეტიდან, ფულის შეუტანლობის გამო გამორიცხეს და გაკვეთილების ძლევასაც თავი დაანება რადგან გამოლანძღა ბავშმა, რომელთანაც მეცადინობდა. ამ დროს ის მთლათ აირია და უცბათ იგრძნო თავისი თავი სუსტად და უმწეოდ. თვით მომავალიც ისე ვიწროდ და აუტანლათ მოეჩვენა, რომ იფიქრა: „უნდა ეხლავე მოვიკლა თავი“. მას წარმოუდგა რაღაც მის წინ აღმართული კედელი, რომელიც უშლიდა სიცოცხლეს და რომლის გარღვევაც შეუძლებლათ მოეჩვენა. იქ კი, კედლს იქეთ არის სიცოცხლე, სცხოვრებენ ადამიანები, მაგრამ ადამიანები მისთვის უცხონი და შორეულნი. წარმოუდგა, რომ თუნდაც მთელის ძალ-ღონით დაუწყოს ამ კედელს ცემა და იქ მცხოვრებ ადამიანებს ყვირილით შეატყობინოს, რომ ის უნივერსიტეტიდან გამორიცხეს, რომ მას შია, რომ იგი წვალობს, ისინი არ მიაქცევდენ არავითარ ყურადღებას და განაგრძობდენ ცხოვრებას მაძღარნი და შორეულნი. ყოველივე ეს პირველათ არა ბუნებრივათ, გარეულობათ, რაღაც საშინელებათ ეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ გაიგო, რომ არა ის ერთი იტანდა გაჭირვებასა და შიმშილს, არამედ—წვალობდენ, შიმშილს ითმენდენ და გაჭირვებას იტანდენ ათასობით და მილიონობით ადამიანები. ხალხი უკვე შეეჩვია მათ შიმშილს, გაჭირვებას და წვალებას და აღარ აქცევს ყოველივე ამაებს ყურადღებას, რადგან რაც ეჩვენება შიმშილსა და წვალებას გრძნობს საშინელებათ, სხვების აზრით იგი სრულიად ბუნებრივია და აუცილებელი. უთუოდ უნდა არსებობდეს მდიდრები და ღარიბები, ბედნიერები და უბედურები, მაძღრები და მშივრები და შეუძლებელია ადამიანებს გადასცე თავისი ტანჯვა და აიძულო ისინი გაგიგონ შენ.

ღამე იყო. ოთახში ციოდა და კარ—ფანჯრების ჭუჭრუტანებიდან ქარი უბერავდა. ბჟუტავდა მაგიდაზე მდგარი სანთელი და ბნელი ჰაერი, ბნელი ცა, ბნელი ხის ტოტები მგლოვიარეთ შემოიყურებოდენ გამჭვარტლული ფანჯრიდან. ივანოვი იწვა დაბლათ გაშლილ მაგარი ქვეშსაგებში და ყოველივე კარგი, ბრწყინვალე, წმინდა და ცხადი ქვეყანაზე მკვდრად ეჩვენებოდა. მის წინ მხოლოდ ერთი წვალება და შემოდგომის ბნელი ღამე იდგა, ხოლო იგი ამ ფიქრით იყო მოცული: „მე დავიღალე და თუ ხვალ კიდევ რაიმე სამეცადინო ვერ ვიშოვნე, უნდა რომელიმე ნაცნობს რევოლვერი გამოვართვა და თავი მოვიკლა. კმარა შიმშილი, სიცივე და გაჭირვება, საჭიროა ხასიათის სიმტკიცე“. შემდეგ ივანოვი მწუხარებამ მოიცვა. სწუხდა, რომ მისმა სიყმაწვილემ მუდმივ გაჭირვებასა და უფერულობაში გაიარა, სწუხდა, რომ დაივიწყა ახალგაზრდა, მისგან შეყვარებულმა ქალმა, სწუხდა რომ ყოველთვის გულში რაღაც ლოდათ აწვა და ხელს უშლიდა შესტრფიალებოდა მზის ბრწყინვალებას, გაზაფხულის სილამაზეს და მოკაშკაშებული ცის მშვენიერებას. დიდი ხნის წინათ ყოველივე ამას იგი დამშვიდებული შესცქეროდა, მაგრამ ეს ის დრო იყო, როცა მისთვის გაჭირვებები და ნაკლულოვანებები არ არსებობდენ. მამა მისი სოფლის მღვდელი იყო და ის მასთან სცხოვრობდა სიმწვანითა და ყვავილებით შემკობილ პატარა სახლში. მინდორი, მდინარე და ტყე ახლოს ჰქონდა და იგი ხშირად სეირნობდა, თევზებს იჭერდა და ნავითაც დასცურავდა. ეხლა მამა უკვე მოჰკვდომოდა, იმის ადგილი სხვა მღვდელს დაეჭირა და მისი დროის სახლის მაგივრადაც ახალი იდგა. მაშინ ივანოვი შიმშილზე სრულიადაც არას ფიქრობდა, ღამით მშვიდათ ეძინა და გაღებული ფანჯრიდან მის ოთახში სიოს ყვავილთა სურნელება შემოჰქონდა. ეძინა მას, ხოლო გაჭირვება კი არსებობდა და წვალობდენ ბევრი სხვები ისე, ვით წვალობს ეხლა იგი. დიახ, სიკვდილზე ფიქრობდენ, თავს იკლავდენ, სახჩობელაზე გადიოდენ, შველას ემუდარებდენ, მაგრამ მას ეძინა. ეხლა ის წვალობს, სიკვდილი მის მახლობლათ არის და სხვებს კი სძინავთ. ამ ფიქრებში გართულმა გულში რაღაც სიმძიმე იგრძნო, ქვეშსაგებიდან წამოიწია, ფანჯარასთან მივიდა, სარკმელი გამოაღო და გრილი ჰაერით სუნთქვა დაიწყო. პაწია ბაღჩაში სიბნელით მოცული ალვის ხეები უძრავათ იდგენ, ხოლო ქუჩაში კი მკრთალ სინათლეს სცემდა მბჟუტავი ფანარი. ზევით ცა ღრუბლებს დაეფარათ და ხის ტოტებიდან წვეთები ცვიოდენ, მიწას ეკურებოდენ. გვიანი იყო და ქალაქსაც უკვე მისძინებოდა. ძილს მოეცვა ქუჩები, მძინარნი იყვენ სახლები, ეძინათ ბაღ-ხეივნებსაც, ადამიანებსაც, ცხოველებსაც, ფრინველებსაც,—ეძინა გარშემო ყოველივეს. ივანოვი დიდხანს იყურებოდა ბნელ ღამეში და ისუნთქავდა შემოდგომის გრილ ჰაერს. შემდეგ, როცა სხეულის ჟრჟოლამ გაუარა და უფრო მძლავრად აცივდა, მიხურა სარკმელი, ხელ-ახლა მიწვა ქვეშსაგებზე და ამოიდვა რა თავს ქვეშ ხელები, ცქერა დაუწყო ძველს, ობობას ქსელით მივსებულ ჭერს. უცბათ გაახსენდა რამოდენი[მე] დღის წინათ თუ რა შეზარათ ბზუოდ[ა] ქსელში გახლართული ბუზი, რომელს[აც] ობობა ტვინს სწუწნიდა. გაახსენდა შე[მ]დეგ უნივერსიტეტიც, რომელშიაც აგ[ერ] რამოდენიმე დღე არ ყოფილიყო და რომ[ლის] დერეფანშიაც ყოველთვის ისე ხმა[უ]რობა იყო; მოაგონდა უკანასკნელი გა[კ]ვეთილი იმ მეორე კლასის გიმნაზიელ[თან]აც, რომელიც გაკადნიერდა და ჰკით[ხა]—თუ რათ დადიოდა ისევ საზაფხულო პალტოში, მოაგონდა, რომ თითქმის რა[მო]დენიმე დღე არაფერი ეჭამა და ხე[ლ]ახლა გაიფიქრა: „კმარა ამგვარად ყოფ[ნა], კმარა დამცირება და გაჭირვება, ხვალვე ვთხოვ ვისმეს რევოლვერს და თავს მოვიკლავ“.

ბოლოს კიდევ უფრო შესცივდა და ამიტომ პალტო წაიხურა. შემდეგ დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ სიკვდილს შემდეგ ვეღარ იგრძნობს სიცივესა და შიმშილს, ვეღარ დაინახავს ფანჯრის იქედან სიბნელეს და ვეღარ დაელაპარაკება დიასახლისს, რომელიც კარგა ხანი იყო თხოვ[ს] და ოთახის ქირას. წარმოუდგა, რომ ამ დროს უფრო შვება ექნებოდა, მაგრამ უცბათ გაახსენდა, რომ მალე გაივლი[ს] შემოდგომაც, ზამთარიც და დადგება გაზაფხული. გადნება თოვლი და ქუჩებზე ნაკადულები იწყებენ დენას, მზე თბილი სხივების სროლას იწყებს და ქალებიც საზაფხულო ტანთსაცმელით შემოსებიან. ბაღ-ხეივნებში ბალახი გამოხნდება, ხეები გამწვანდებიან, მთვარიანი ღამეები დამშვენდებიან და ბულბულთა სტვენაც გაისმება. უცბათ დაენანა სიცოცხლე, დაენანა აღარ ენახა გაზაფხული და გადამწვანებული მდელო—ხეები, აღარ ენახა საგაზაფხულო სამოსელით გამოწყობილი ქალები და ოდნავ ღიმილ მორეულ...

**ჩინეთის პროტესტი.** უკანასკნელი ცნობების მიხედვით რუსეთს ძალიან საეჭვოთ მიაჩნია ჩინეთის მოქმედება. ამბობენ, ჩინეთი ხარბინს წმინდა ჩინურ ქალაქათ აცხადებს, რომლის ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობაში რუსეთს არავითარი წილი არ უნდა ედოსო. თუ ეს ხმები გამართლდა და ჩინეთმა თავისი პროტესტი გამოაქვეყნა, მოსალოდნელია რუსეთის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედება.

## რუსეთი.

**შორეულ აღმოსავლეთის ამბები.** დუმის კულუარებიდან იტყობინებიან, ა. ი. გუჩკოვს გარეშე საქმეთა მინისტრთან და სტოლიპინთან მოლაპარაკება აქვს გამართული იმის შესახებ, თუ რა ფორმაში გააცნონ დუმას შორეული აღმოსავლეთის ამბები.

**მინისტრის სიტყვის გამო.** იუსტიციის მინისტრის უკანასკნელმა სიტყვამ დეპუტატებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. დუმის დეპუტატების 3/4 კიცხავს მინისტრს. სხვათა შორის, დეპუტატი შუბინსკი ამბობს, რომ მინისტრის სიტყვა დუმის შეურაცხყოფა იყო, რომელზედაც დუმამ შესაფერი პასუხი უნდა გასცესო.

**გილევიჩის საქმე.** „ნ. ვ." სიტყვით, ლეშტუკოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიება ახლო მომავალში დასრულდება. გამოქვეყნებული იქნება ყველა ცნობები ამ რთული საქმისა. გამოძიებიდან სჩანს, რომ მკვლელობა მოუხდენია ანდრია გილევიჩს, მოკლულის ვინაობაც გამოურკვევიათ.

**დეპუტატობაზე უარის თქმა.** ადესის დეპუტატმა ბროდსკიმ დუმის თავმჯდომარეს, ხომიაკოვს დეპეშით აცნობა, რომ უარს ამბობს დუმის დეპუტატობაზე.

**ტიმაშევი და „ინოროდცები".** ამ დღეებში ვაჭრობა-მრეწველობის ახალმა მინისტრმა ტიმაშევმა მოითხოვა სია იმ პირთა, რომელთაც კავკასიის მინერალური წყლები აქვთ აღებული. სიაში მინისტრის ყურადღება მიიქცია სომხების და ქართველების გვარების რაოდენობამ. „რ. უ."-ს სიტყვით მინისტრმა სიაზე ასეთი რეზოლიუცია დააწერა: „მომავალში ამგვარი მოვლენა სასურველი არ არის. „ინოროდცების" წინ რუსებს უნდა მიეცეთ უპირატესობა".

**უთანხმოება მინისტრებ შორის.** „რეჩის" სიტყვით შორეულ აღმოსავლეთის საქმეების მდგომარეობამ დიდი უთანხმოება გამოიწვია სამხედრო და გარეშე საქმეთა მინისტრს შორის. უმაღლეს სფერებში იზვოლსკის შეხედულობის წინააღმდეგი არიან, რის გამოც მოსალოდნელია იზვოლსკის მიერ თანამდებობიდან გადადგომა.

## საზღვარ-გარეთ

**მინისტრები ლორდების წინააღმდეგ.** საპარლამენტო არჩევნებში მინისტრები ენერგიულ მონაწილეობას ღებულობენ, სახალხო კრებებს ესწრებიან და ლორდების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან ლიბერალებთან ერთად.

**შეთქმულობა.** „ბერლ. ტაგებლ."-ს კორესპონდენტი სოფიიდან იტყობინება, რომ მეფე ფერდინანდის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოაჩინეს. შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდა ერთი სერბიელი მინისტრთაგანი და ყოფილი ტახტის მემკვიდრე პრინცი გიორგი.

**მინისტრების მხარის დაჭერა.** ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ პარტია ყოველ ღონეს მიიღებს მომავალ პარლამენტში ძველ სამინისტროს დასატოვებლათო.

**პროფესიონალური მოძრაობა პოლიციელთა შორის.** სინდიკალისტების მოქმედების გამოცოცხლებამ და სამოქალაქო მოხელეთა ნაციონალურ ფედერაციის დაარსებამ საფრანგეთის პოლიციელთა შორისაც მოძრაობა გამოიწვია. უკანასკნელი დღეების განმავლობაში პოლიციის აგენტებმა ბევრ ადგილას გამართეს კრებები და პეტიცია შეიმუშავეს პოლიციის პრეფექტისადმი გადასაცემათ. როგორც მიტინგებზე გამოირკვა, პოლიციელთა შორის უთანხმოებაა: დიდ უმრავლესობას არ სურს, რომ აგიტაცია დისციპლინის ფარგლებს გასცილდეს. ერთ კრებაზე 40 დეპუტატი აირჩიეს, რომლებმაც მოთხოვნილება უნდა შეიმუშავონ. მოთხოვნილების უმთავრესი მუხლია ნება დართონ პოლიციელებს პროფესიონალური კავშირის დასაარსებლათ. სორბონში პოლიციელთა საზოგადო კრება მოხდა, რომელსაც დაესწრო პრეფექტი ლეპინი და პრემიერ-მინისტრი ბრიანი. ბრიანმა კრებაზე სხვათა შორის განაცხადა: „ჩვენ დროში მოქალაქეთა ყოველი კატეგორია თავის უფლების დასაცავათ კავშირდება. თქვენც ისეთივე უფლება გაქვთ, როგორც სხვა მოქალაქეებს. თქვენ სახელმწიფოსაც ემსახურებით. ამიტომ თქვენ მეტი სიფრთხილე და თავ-დაჭერილობა გჭირდებათ. თქვენ არასოდეს არ უნდა დაივიწყოთ დისციპლინა, ურომლისოთაც თქვენ დაკარგავთ ავტორიტეტსაც და საზოგადოების სიმპატიასაც.

მე არ მჯერა ის ხმები, ვითომ თქვენ დემონსტრაციების გამართვას აპირობდეთ—პოლიციას საბუთი აქვს უკმაყოფილების, მაგრამ მან უნდობლობა არ უნდა გამოუცხადოს მთავრობას და პრეფექტს.

# კაპიტალის წარმოშობა

(შემდეგი)

რა სურდათ ლორდებს? ბატონ-ყმობის დაბრუნება—ძველი წეს-წყობილების აღდგენა. ეკონომიური განვითარება კი სულ სხვა რამეს თხოულობდა. ცხოვრებამ თავის გზით გაიარა. ბატონ-ყმობა სამუდამოთ მოისპო და განხორციელდა არა თემური წეს-წყობილება—განხორციელდა კაპიტალისტური მეურნეობა, მაგრამ არა იმ წამში. ყოველ შემთხვევაში, ინგლისის ეკონომიურ განვითარებას გლეხთა აჯანყებამ თავისებური ელფერი დაასვა.

რადგანაც მუშის ხელფასი ძლიერ მაღლა იდგა, მიწის დამუშავება დაეცა: ინგლისის პური ვერ უწევდა მეტოქეობას კონტინენტალურ ევროპის იაფ-ფასიან პურს, სადაც ჯერ კიდევ ბატონყმური შრომა მეფობდა.

ლორდებმა ხელი მიყვეს ცხვრის მოშენებას, რადგანაც მატყლზედ დიდი მოთხოვნილება იყო ნიდერლანდიის მხრიდან, სადაც შალეულობის წარმოება ყვაოდა, იქ, სადაც წინეთ ორასი კაცი შოულობდა სამუშაოს—ეხლა ცხვრის მოსავლელათ საკმაო იყო ერთი მეცხვარე. გლეხი სოფელში ვეღარ შოულობს სამუშაოს. ცხვრის მოშენების შემოღებამ წელში გასტეხა გლეხ-კაცობა. ხალხი მიაწყდა ქალაქებისაკენ. სოფელი დაცარიელდა. უპატრონოთ დატოვებულ მათ ადგილ-მამულებს ისაკუთრებს ლორდები. იქ, სადაც ეგეთი ეკონომიური ჭახრაკი არ სჭრიდა, სცემდენ კანონს, რომლის ძალით გლეხს ეკრძალებოდა რაიმე ფრინველის ან ოთხ-ფეხის მოშენება—იმ მოსაზრებით, რომ, რადგანაც გლეხს საკმაო მიწა არ აქვს, ფრინველი ან ცხოველი გადაიარს ლორდის ადგილში და ზიანს მიაყენებს მის ბრწყინვალების საკუთრებას. სადაც ეგეთი ზომები არ სჭრიდა, იქ პირდაპირ მოურიდებლათ ერეკებოდენ გლეხ-კაცობას თავიანთ ადგილ-მამულებიდან. ტომას მორი თავის „უტოპიაში" ამბობს:

„მე ვიცი ქვეყანა, სადაც ცხვრებმა შესჭამა ხალხი"—ეს ქვეყანა ინგლისია.

გლეხთა აყრამ საშიში ხასიათი მიიღო: ქვეყანა გაჰერანების კარებამდის მივიდა. საერთო მოთქმა-გოდება იმ დროინდელ მწერლებისა აშკარათ მოწმობენ ამას. ინგლისის მთავრობა შეეცადა აელაგმა ლორდების თავ-გასულობა (შეიძლება აქ ვინმემ წინააღმდეგობა დაინახოს, მაგრამ ვინც დაუკვირდება ინგლისის ისტორიას დარწმუნდება—აქ წინააღმდეგობა სრულებითაც არ არის. ეს იყო ზომები თავის დაცვისა.) სამხედრო სიძლიერე ინგლისის შეირყა, რა კი მოისპო დამოუკიდებელი მდიდარი გლეხკაცობა, გამოცემულ იქნა კანონები, რომლითაც სურდათ შეექმნათ ინგლისში მდიდარი, ღონიერი გლეხობა. ბეკონი ალტაცებაშია ამ კანონებით და ამბობს:—ეს ზომები მთავრობისა მოწმობს, თუ რა შორს-მჭვრეტელი და გონიერი იყო მაშინდელი მთავრობა.—ამაზე კ. მარქსი შენიშნავს:—ეს კანონები აშკარათ მოწმობენ იმას, თუ რა ბრმა და ჭკუა მოკლე იყო მაშინდელი ინგლისის მთავრობა. ეს კანონები მხოლოდ იმისთვის დარჩა მარტო ქაღალდებზე, რომ ეწინააღმდეგებოდა ეკონომიურ განვითარებას. მთავრობა ცდილობდა შეექმნა მდიდარი, დამოუკიდებელი გლეხ-კაცობა. ეკონომიური განვითარება კი, (კაპიტალიზმი) თხოულობდა გლეხების პროლეტარათ ქცევას—მაშ, ეკონომიურ განვითარების კანონებს მორჩილებს არამც თუ ღარიბ-ღატაკნი, არამც თუ მდიდრები, თვით მთავრობაც, რომლის ხელშია, როგორც სიმდიდრე, ისე ძალა-უფლება. ეკონომიური განვითარების კანონები არის უმაღლესი მბრძანებელი და მთავრობა იარაღია მის ხელში.

მეთექვსმეტე საუკუნეში ინგლისში მონასტრებს ჩამოერთვა ქონება. სამონასტრო მიწები დაიტაცეს მეფის საყვარლებმა. აყარებელი გლეხ-კაცობა ერთბაშათ უადგილ-მამულოთ და უსახლ-კაროთ დარჩა. რეფორმაცია აგრეთვე ხელს უწყობს პროლეტარიატის შექმნას. მთელი ინგლისი აივსო მათხოვრებით და ყაჩაღებით.—„რა შემაძრწუნებელი სანახაობაა"!—ამბობს ტომას მორი („უტოპია").

—ხალხს ძალით ალატაკებენ, მათხოვრათ აქცევენ და შემდეგ მათხოვრობისთვის სახჩობელაზე აყავთ ან კატორღაში გზავნიან, რაც იმავე სიკვდილს უდრის. რა გზით ჩაიგდეს ხელში ინგლისის ლორდებმა სიმდიდრე ადგილ-მამული? რა გზით მოხდა ამ შემთხვევაში წინასწარი მოგროვება კაპიტალისა? ეს არის გზა ძალ-მომრეობისა, მტაცებლობისა, დარბევისა! ამას აშკარათ მოწმობს ისტორიული ფაქტები, რომლის შემაწუხებელ შინაარს ვერ დაფარავს ვერავითარი დავიწყება და გაიძვერული ცდა ბურჟუაზიულ მეცნიერებისა. გლეხობის მიწებიდან აყრა და მათი ადგილების მისაკუთრება! სათემო ადგილების ჩამორთმევა და მისაკუთრება! საეკლესიო ქონების გაუქმება და მისაკუთრება! ძალ-მომრეობით ეყრება საძირკველი კაპიტალისტურ მეურნეობას. ლორდებმა ქალაქს მიურეკეს „თავისუფალი", ორ ნაირათ „თავისუფალი" მუშა ხელი.

ბ) **ძალმომრეობით თავის სახლ-კარიდან გამორეკილი ინგლისის გლეხ-კაცობა და მათი სასტიკი დევნა ინგლისის მთავრობის-მიერ.**

ახალგაზრდა კაპიტალისტურ მეურნეობას არ შეეძლო ყველასთვის, ვინც ქალაქში ჩავიდა სამუშაო მიეწოდებია. ქალაქები კი გაჭედილი იყო უმუშევარი ხალხით. მიუხედავათ ამისა, მუშა ხელის სიცოტავე ჯერ კიდევ ისევ ემჩნეოდა წარმოებაში. რა დიდი არ იყო გაჭირვება და სიღატაკე, მაგრამ ხალხი ვერ ურიგდებოდა ქარხნების ყაზარმულ დისციპლინას. გუშინდელი მიწის მომუშავე, დღეს ქალაქში ჩამორეკილი, ვერ ითვისებს ერთბაშათ ახალ წარმოების დისციპლინას, ქარხნის წეს-რიგი უცხოა გლეხისთვის. გაღატაკებული ხალხი იწყებს ხეტიალს და მათხოვრობას. მთელი ინგლისი აივსო ყაჩაღებით და შიშის ზარს სცემდენ ხალხს. ყაჩაღობის და მათხოვრობის მოსასპობათ გამოცემულ იქნა მთელ რიგი სასტიკ კანონებისა. მშრომელი ხალხს სასტიკათ სდევნიდენ იმისთვის, რომ მათ ჩამოართვეს ყოველ გვარი ქონება და მათხოვრათ აქციეს. მაგრამ ეს დევნა ეხლა მიმართული იყო ერთ რამისკენ: სურდათ ყოფილ გლეხკაცობაში ჩაენერგათ ახალი წარმოების დისციპლინა, რაც ეგრე საჭიროა კაპიტალისტურ მეურნეობისთვის.

მ. ზეგნელი.

(შემდეგი იქნება).

# ახალი ამბები

**ჯოჯოხეთის მანქანა.** თფილისის მაზრის სამმართველოს მდივანმა ინდუევმა 1 დეკემბერს პოლიციას განუცხადა, რომ დღეს, სალამოს 7 საათზე, ვიღაცამ ჩემ ბინაზე ზარი დარეკა და როცა ბინიდან სახლის აივანზე გამოვედი, იქ დარაჯის ტანისამოსში ვიღაც უცნობი დავინახე, რომელმაც მითხრა: „სართიჭალის საპოლიციო უბნის ბოქაულმა გამომგზავნაო და ჩემს მოსამსახურე ქალს ერთი დაკლული წიწილა და 20 ღერს ჩუხჩელა გადასცა. შემდეგ ამისა სადარბაზო ოთახში შევიდა და იქ იატაკზე დასდო უჯრა, რომელიც ერთ ფუთს იწონიდა. როცა ვინაობა ვკითხე, მას

მა გაიფიქრა: „მე ვორჭოფობ", ხოლო გულის სიღრმეში რაღაცამ ჩასჩურჩულა: „ვინ იცის, ხვალ იქნებ რაიმე კარგი სამუშაო ვიშოვნო"... უნდოდა დაეჯერებია ეს, მაგრამ არ სჯეროდა და როდესაც იძინებდა, უკანასკნელათ გაიფიქრა: „კმარა ორჭოფობა, დეე ხვალ უკანასკნელი დღე იყოს ჩემგან სამუშევარის ძიებისა და მან გადასწყვიტოს ჩემი ბედი". დაეძინა და კარგი, რაღაც სხივმფინარი სიზრმები ეზმანა. ესიზრმა ყოველივე ის, რაც მარად ისე ცოტა ჰქონდა ცხოვრებაში. ესიზრმა, რომ სჭამდა კარგ საჭმელებს, რომ მის გარშემო თბილოდა, ყოველივე სიმწვანით შვენოდა, მზე თბილ სხივებს ისროდა, უკრავდა მუსიკა და ქალები ახალგაზდები და ლამაზები ეალერსებოდენ მას. ეძინა, ეძინა მშვიდათ, წყნარათ, მშვიდათვე მომღიმარი სახით. იმ დროს კაცის თვალს რომ დაეხედა, შეუძლებელი იყო მასში შეემჩნია სიცოცხლის ბრძოლა სიკვდილთან. ფანჯრის იქედან ხეებსაც მისძინებოდათ, სახლებსაც, ქუჩებსაც და ბახჩახეივანსაც. ეძინა ადამიანებსაც, ცასაც და ირგვლივ სიწყნარე გამეფებულიყო...

II

დიდი ხნის ძილის შემდეგ, როცა ივანოვს გამოეღვიძა, უკვე სინათლე იყო და ფანჯარის იქიდან ეტლთა ხმაურობა მოისმოდა. მოაგონდა სიზრმები, რომლებიც დაესიზმრა და გაიღიმა მწუხარე ღიმილით. შემდეგ ისიც მოაგონდა, რომ დღეს შეიძლება მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეც იყოს და ხელ ახლა გაეღიმა. ადგა ლოგინიდან, ჩაიცვა, უშაქროთ და უპუროთ ჩაი დალია და თუმცა მუცელი ისევ შიმშილს გრძნობდა, მაგრამ სხეულში სითბომ დაუარა. კიდევ იფიქრა: „ვინ იცის, იქნებ დღეს რაიმე სამუშაო ვიშოვო, მაგრამ არ სჯეროდა ეს". ჩაიცვა ბევრგან სარჩულ დახეული პალტო, დაიხურა გახუნებული ქუდი და დერეფანში გამოვიდა ამ ფიქრით: „ნეტავ დიასახლისს არ შემახვედრა და"....

დიასახლისი მაღალი, გამხდარი ყბა-შეხვეული დედაკაცი უკვე დიდხანს უდარაჯებდა და ეხლა გაუსწორდა თუ არა მისი ოთახის კარებს, მაშინვე გამოვიდა მასთან.

— გამარჯობა,—მქაჯეთ წაილაპარაკა ოდნავ თავის დახრით,—გთხოვთ გადაიხადოთ ოთახის ქირა, ფულები საჭიროა.

ქალი პირდაპირ არ მისჩერებოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა მისი თვალებიდან სიბოროტისა და ცუდი განწყობილების გამომეტყველება ემჩნეოდა ივანოვს. ნახევრათ გაღებულ ოთახის კარებიდან დიასახლისის ცხრა წლის ქერა თმიანი ქალიც გამოიყურებოდა და მელის მსგავსი სახით ცნობის მოყვარეობით შესცქეროდა ივანოვს. ივანოვმა ამ პატარა ქალის თვალებიდანაც სიბოროტე წაიკითხა და იგრძნო, რომ ორთავე დედაშვილს მისთვის უსიამოვნობა სურდათ. იმ წუთშივე იფიქრა თუ მას ჰქონოდა ფული და მიეცა მათთვის, ისინი აღარ უსურვებდენ ბოროტს და ვით სახე, ისე მოსაზრებაც გამოეცვლებოდათ მის შესახებ, თუმცა ის იგივე სტუდენტი ივანოვი იქნებოდა, იმავ სახით, იმავე გულით და ისეთივე გრძნობებით.

— მე არ შემიძლია ეხლავ მოგცეთ ოთახის ქირა,—უპასუხა ივანოვმა,—იმიტომ, რომ არა მაქვს. თუ ხვალ ვიშოვნე რაიმე სამუშაო, ამ დღეებში გადავიხდი...

— დიასახლისი გაწითლდა და მიაჭყიტა ბოროტი, ფერ-წასული თვალები. რომ ვერ იშოვნოთ?

— მაშინ მართლა არ ვიცი,—წაილაპარაკა ივანოვმა და მხრები აიჭიმა.

დიასახლისი შემობრუნდა მისკენ გამხდარი, პრტყელი ზურგით და ფოსტლების ტყაპუნით გაემართა რა ოთახისაკენ, მწყრალათ მიიხურა კარები და ბუტბუტს მოყვა.

ივანოვი რამოდენიმე წუთს ერთ ადგილს იდგა და შემდეგ გასასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ უცბათ მობრუნდა და დიასახლისის ოთახის კარებთან მისულმა წყნარად წარმოსთქვა:

— იცით, რა იქნება მაშინ თუ სამუშევარი ვერ ვიშოვნე?.. ამ დროს გულმა რაღაც საშინლად დაუფეთქა და სუნთქვა შეუჩერდა.

— აბა რა?.. გაჯავრებით ჰკითხა ქალმა.

— მაშინ მე თავს მოვიკლავ..

— დიდი ხანია, დროა... წაიჩურჩულა დიასახლისმა. დაილაპარაკა რაღაც პატარა ქალმაც და ივანოვამდე ნაწყვეტნაწყვეტათ მიაღწია შემდეგმა სიტყვებმა: „დედა", „ის", „სტუდენტი", „ოთახი".

— რომ მათ იცოდენ, თუ რაგვარათ ვწვალობდი წუხელ მთელი ღამის განმავლობაში,—იფიქრა ივანოვმა,—რომ ესენი ჩავახედო ჩემს სულიერ მდგომარეობაში, ხომ ესენიც ადამიანები არიან, ხშირათ წვალობენ და უძილო ღამეებსაც ატარებენ"...

ის ნელი ნაბიჯით განშორდა კარებს, გაიარა დერეფანი და გაემართა მოსველებული ტროტუარით.

ბევრი ხალხი მიდი-მოდიოდა ქუჩაში. დადიოდენ ახალგაზრდები და ბებრები, ქალები და კაცები, ლამაზები და მახინჯები, მაგრამ ყველა მშვიდი სახით, კარგათ და თბილათ ჩაცმულები. ისინი სჭამდენ, სვამდენ და ოთახის ქირასაც ისტუმრებდენ. იმათ სამუშევარიც ჰქონდათ და ივანოვს რაღაც შორეული, მედიდური, გულგრილი თვალებით შესცქეროდენ. წარმოუდგა, რომ ესენი ადამიანები კი არ დადიოდენ, არამედ—უზარ-მაზარი, მრავალთავიანი დევნი, რომელსაც თავის ადვილად ჩასაჭიდ ისრისებურ კლანჭებიან ხელებში მოემწყვდია ყოველივე სამუშაო და არ აკარებდა როგორც მას, ივანოვს, ისე მის მსგავს ასი ათასობით ადამიანებს. სამუშაო იქვე ახლოს იყო. იმისი დღისა და ღამის განმავლობაში დუღილი იგრძნობოდა ჰაერშიაც, გრძელ, განიერ ქუჩებშიაც და დიდ მრავალ-სართულიან სახლებშიაც, მაგრამ შოვნა შეუძლებელი იყო, რადგან მაგრათ ჩაეჭირათ ამ მშვიდათ ქუჩებში მიმოსვლელ ადამიანებს. ისინი ბედნიერები იყვენ იმიტომ, რომ გულში სიმშვიდეს გრძნობდენ, შეეძლოთ თავისუფალი სიყვარული, სმა, ჭამა და ცქერა მზის და მტრედისფრად მოკაშკაშებული ცისა...

— „საით წავიდე, საით წავიდე?"—ფიქრობდა ივანოვი და იგონებდა იმ ადგილებს, სადაც ჯერ კიდევ არ ყოფილიყო. მაგრამ ასეთი ადგილები აღარ იყო, რადგან მან ყველგან მოიარა, ყველგან ეძია, ყველგან იკითხა. მაშინ ის უკან მიბრუნდა და ერთი უფრო გავრცელებული გაზეთის რედაქციისაკენ გაემართა. აქაც ბევრჯელ ყოფილიყო და რაკი ყოველთვის ცარიელი დაბრუნებულა, ეხლაც გულში უიმედობას გრძნობდა. მაინც მიდიოდა. მიდიოდა იმიტომ, რომ სადმე უნდა წასულიყო, რამე უნდა გაეკეთებინა.

რედაქციის კანტორაში უკვე ბევრ ხალხს მოუყრია თავი. იყვნენ სტუდენტები, ახალგაზრდა და ხანში შესრული ქალები, ინტელიგენტები და უბრალოებიც. ყველას სახეზე რაღაც ფერ-წასრულობა, დაღლილობა ეტყობოდათ და ერთი მეორეს რაღაც ცუდი განწყობილების გამომეტყველი თვალებით შესცქერდნენ. თითოეული მათგანი გრძნობდა, რომ ისინი ყველა აქ ერთისა და იმავეს მაძებარნი არიან და რომ თითოეული მათგანი მზათ არის წაართვას მეორეს ის, რასაც იგი მთელი თავის წვალებული სულის შემძლებლობით ცდილობდა მოეპოვა. ყველა ერთი მეორისაგან შორს და ერთი მეორის მტრები იყვნენ, ხოლო ეს კი რაღაც სივიწროვეს, უსიამოვნებას ბადებდა. ივანოვმა ამოჭრა გაზეთიდამ რამოდენიმე შრომის წინადადება, სწრაფად ჩამოიარა კიბე, და რომ მიმავალი სტუდენტებისა და ახალგაზრდა ქალებისთვის გაესწრო, გაეშურა ქუჩაში. ტროტუარზე ხალხი ეხლა კიდევ მეტი იყო და ეტლებიც უფრო ხშირი. ჰხვდებოდენ ახალგაზრდა, კარგათ ჩაცმული ქალები და ივანოვი ჰხედავდა რა ამათ, ფიქრობდა, რომ უთუოდ ვინმე ეყვარებათ, ვისმეს ეალერსებიან, ჰკოცნიან. ისინი კი, ვინც ამათ უყვართ, ვისაც ესენი ეალერსებიან ბედნიერები და ცხოვრებით კმაყოფილნი იქნებიან და რაც ეჩვენება მას ივანოვს ერთად, იმათ მოეჩვენებათ მეორედ. თვით ქუჩებიც, სახლებიც. ცაც და ღრუბლებიც მათს თვალში სულ სხვანაირი იქნებიან. აქ ივანოვმა სიმწარე,—მწვავი სიმწარე იგრძნო. აი აგერ მიმოდიოდნენ ახალგაზრდა ქალიშვილები მოხდენილი ტანისანი და მოსიყვარულე უებრონი, მაგრამ მას არ აქცევდენ ყურადღებას. მისი აზრით თუნდაც ისინი გააჩეროს და უამბოს თავისი ცხოვრების აუტანლობა; სიცოცხლისა და სიყვარულის წყურვილი,—ისინი შეხედავდენ იმ ხედვით, როგორც უყურებენ ჭკუიდან შეშლილს და შორს გაუვლიდენ. მას არ მოეპოვებოდა ისეთი არც სიტყვები, არც ტანჯვა და არც აზრები, რომლებიც ამ ადამიანებს აიძულებდენ გაეგოთ მისთვის. ის მოკვდება, საფლავში დალპება, ხოლო ესენი კი წინანდებრ ივლიან ქუჩებში ლამაზები და ახალგაზრდები; წინანდელებრ ეყვარებათ და უალერსებენ სხვა კაცებს. თვით სიკვდილიც ვერ აიძულებს მათ გაუგონ მას.

რ. ღეხნუმელი.

(შემდეგი იქნება)

თავის თავს „სართიჭალის საპოლიციო უბნის დარაჯი“ უწოდა. სახლიდან გამოვიდა და წავიდა. მოტანილ უჯრაში აღმოჩნდა მეტათ ძლიერი ჯოჯოხეთის მანქანა. 2 დეკემბერს, ნაშუაღამევის სამ საათზე ჯოჯოხეთის მანქანა მტკვრის ნაპირას აafeთქეს. სიგძით 3/4 ადლიან უჯრას, რომელიც ინდუევის სახლიდან მოიტანეს აქ, ნავთი გადაასხეს და ცეცხლი წაუკიდეს. რამდენიმე წამის შემდეგ მანქანიანი უჯრა ისე საშინელი ხმით აფეთქდა, რომ ნამტვრევები ცეცხლის ბურთებივით ჰაერში აქეთ-იქით ტრიალებდა. იმ ადგილას, სადაც მანქანა აფეთქდა, ორმო—თხრილი გაითხარა.

**მოწაფეების დათხოვა.** ქართ. გიმნაზიის პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით 1 დეკემბერს გიმნაზიიდან დათხოვნილ იქნა ნახევარზე მეტი მოსწავლეები სასწავლო ფულის შეუტანლობის გამო. გუშინ და გუშინ-წინ სწავლა თითქმის ცარიელ კლასებში სწარმოებდა. ზოგიერთ კლასებში 5—6 მოსწავლე სწავლობდა. მოწაფეებს ფულის წარგენის შემდეგ მიიღებენ.

**სანიტარული მდგომარეობა.** რადგან ამ ბოლო დროს ხოლერა ძლიერ ვრცელდება ბაქოში და სხვა ადგილებში და შესაძლებელია თფილისსაც ეწვიოს, ამის გამო, ამ დღეებში თფილისში დაათვალიერეს თითქმის ყველა სასმელ-საჭმელის დუქნები და საყასბოები. შედგენილის 36 ოქმი. ზოგიერთ მეპატრონეებს 7 დღის ვადა მისცეს თავიანთ დუქნების სანიტარულ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

**ახალი პოლონური გაზეთი.** 1910 წ. 1 იანვრიდან თფილისში გამოსვლას იწყებს ყოველდღიური გაზეთი პოლონურ ენაზე.

**საქველმოქმედო წარმოდგენა.** საშობაო უქმეებზე სახაზინო თეატრში გაიმართება ქართული წარმოდგენა თფილისის ქართულ გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოთ.

**ქართული თეატრი.** ახალი პიესა პ. გოთუასი, რომელიც დღეს უნდა წარმოედგინა ქარ. დრ. დასს, გადადებულია, შაბათს, 5 დეკემბრისათვის. ქართული დრამატიული დასი შეუდგა ს. გლახაშვილის ახალი პიესის „წყურვილი“-ს რეპეტიციებს.

**საქალებო სამეურნეო სასწავლებელი.** ფოთის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის წინაშე, რომელიც, თავისს მხრივ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შეეკითხა, თუ რა გვარი სამეურნეო სკოლის დაარსება უფრო სასურველია ქ. ფოთში. ამასთანავე მზრუნველი სთხოვს შეატყობინონ მას, თუ რომელ ადგილას შეიძლება ამ გვარი ტიპის სკოლის დაარსება ზუგდიდის მაზრაში.

**ამხალი გაზეთი.** ახლო მომავალში ვ. ტოტომიანცის რედაქტორობით ამხანაგობა გამოსცემს ყოველ დღიურ რუსულ გაზეთს.

**კომისიები.** მომავალ 7 დეკემბრის სხდომაზე საბჭო აირჩევს სარევიზიო კომისიებს: ქალაქის ლომბარდის, სახალხო სახლისა და ქალაქის სხვა დაწესებულებებში.

**პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკა.** ნოემბრის განმავლობაში პუშკინი სახელობის ბიბლიოთეკაში ყოფილა სულ 3,168 მკითხველი, ამათ შორის, 2,667 მამაკაცი, 123 ქალი და დანარჩენნი მოსწავლეები.

**სასამართლო.** შარშან, 16 მაისს პუშკინის ქუჩის მახლობლათ სერებრიანნის შესახვევში 4 პირ-ახვეული უცნობი თავს დაესხა თფილისის მოქალაქე დარჩო დივანოვს და გაიტაცეს. ერთი დღის განმავლობაში ნაძალადევში ამყოფეს და შემდეგ, თვალებ ახვეული ტყეში წაიყვანეს, სადაც ბოროტ-მოქმედებმა კარავი გააკეთეს და შეპყრობილი შიგ მოათავსეს. კარავში მან 3 კვირაზე მეტი დაჰყო, წაართვეს 310 მან. და მოთხოვეს კიდევ 50,000 მ. დივანოვმა ქალაქში წერილი გაგზავნა შემდეგი შინაარსის: „მოითხოვენ 50000 მ., მომეშველეთ“ ფულის გამოსაგზავნი ადრესი წერილზე ბოროტ-გამზრახველებმა დააწერეს. დივანოვმა თავის გამოსასყიდათ 5,000 მ. გადაიხადა და გაანთავისუფლეს. ამ საქმეში ბრალი დასდვეს თფილისის მაზრის მცხოვრებს გ. შერძაზანოვს. საქმე 30 ნოემბერს გაირჩა საოლქო სასამართლოში, რომელმაც გ. შერძაზანოვი დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა 4 წლის კატორგა.

**ქართული საზოგადოება „განათლება“** საშობაო უქმეებზე ჩვეულებრივათ ქართულ საღამოს გამართავს. საღამოს გამგეობას იკისრებს თ. ვ. ჭავჭავაძისა.

**ქართული ოპერა.** კვირას, 13 დეკემბერს სათავად-აზნაურო თეატრში ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი“ ოპერა 3 მოქმ. ი. ივ. რატილის რეჟისორობით.

**შეპყრობა.** 1 დკემბერს პოლიციამ შეიპყრო ქალაქ ნახიჩევანის მცხოვრები მ. გასპაროვი, რომელსაც პოლიციელ ე. პეტროვის მოკვლაში მონაწილეობის მიღება ბრალდება.

**უეცარი სიკვდილი.** 1 დეკემბერსა სწავლის დროს უეცრათ გარდაიცვალ, საქალებო ინსტიტუტის მუსიკის მასწავლებელი ქალი ანნა შიდლოვსკისა, 59 წ.

**უგზო-უკვლოთ დაკარგული.** თფილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება გასცა, რათა ენერგიული ზომები მიიღონ პოლიციელებმა დუშეთის მაზრის მცხოვრების ლ. კალხიტაშვილის მოსაძებნათ, რომელი თფილისში თავის ძმასთან ჩამოსულა და შემდეგ უგზო-უკვლოთ დაკარგულა.

**თფ. მასწავლებელ ქალთა საზოგადოება,** როგორც წარსულ წლებში, ისე ამ წელს მართავს შობის ხეს ქალაქის ღარიბ მცხოვრებლების შვილთა სასარგებლოთ. ამიტომ საზოგადოება უმორჩილესათ სთხოვს და მოუწოდებს ყველას, ვინც თანაუგრძნობს ამ ფრიად საჭირო საქმეს, ხელი გაუწოს და დაეხმაროს ზემოხსენებულ საზოგადოებას ფულით, ნივთებით და სხვათი. ადრესი: ბარათინის ქუჩა № 6. მასწავლებელთა საზოგადოების ბინა.

## წერილები სპარსეთიდან

13

### ქალაქი თეირანი

უმთავრეს ქუჩის, 6 თავიან ლალაზარის შესახვევში, ფოსტის ახლოს ერთ შენობაში შევაღე კარები და რედაქცია „ირან ნოვში“ (ახალი სპარსეთი) შევედი. სარედაქციო სამუშაო ზალაში სამი უბრალო მაგიდა იდგა, რომელზედაც რამდენიმე სპარსელი თანამშრომელი საგაზეთო მასალას სწერდენ.

აქ ვიკითხე რედაქტორი რასულ-ზადე, მათ მეორე კარები მიჩვენეს და შესვლისათანავე გადამეხვიენ რამდენიმე სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ნაცნობნი. ამ ზალაში იდგა სამი მაგიდა: ერთზე მოხუცი თავრიზელი წერას განაგრძობდა და სახე-გაბრწყინვებული შეგვცქეროდა. როცა მას გააცნეს ჩვენი თავი, ის წამოდგა, ზრდილობიანათ ხელი ჩამომართვა: მოხარული ვარ, თქვენ რომ აქ გხედავთო. უკანა ორ ოთახში ახალ გაზეთებს კეცავდენ. პატარა ბავშვები ფუსფუსებდენ და გასასყიდ ნომრებს ინაწილებდენ. მათი ყიჟინი-სირბილი ქუჩებში: გაზეთი „ირან ნოვ!“—თეირანს აღვიძებდა. მწერლების სიხალისე, მუშაობა-საქმიანობა ბევრ რაიმეს მაგონებდა წარსულიდან... ცოტა ხანს შემდეგ აქ შემოვიდა ცნობილი კორესპოდენტი ამირეჯიბი, რომელიც სამჯერ ბორკილებით გადაატარეს ირანის მთები და რაღაც მანქანებით გადარჩენილი დღეს ფაქტიური სულის-ჩამდგმელია ამ რედაქციის... ეს რედაქცია, ეს მუშაობა მოასწავებს ახალ ცხოვრების, ახალ აზრების გაღვიძებას სპარსეთში.

8 ოქტომბერს წავედი სამხედრო მინისტრის, მუიზამ სულთანის სანახავათ, სადაც ერთი კაზვინის აღების დროს დაჭრილი გურჯი ცხოვრობს და მეორე სპარსეთის ყველა რევოლიუციონურ ბრძოლაში მონაწილეობის მიმღები მამაცი მთიული ლექსი, რომელსაც აქ „ასლან ხანს“ ეძახიან. მინისტრის თანაშემწე ქალაქ გარეთ სამ ვერსზე, მამედ-ალის შახის საზაფხულო სასახლე ბაგე-შახში ჯარს ათვალიერებდა, ჩვენც იქ წაგვიყვანეს.

შუაგულ ქალაქში დიდ მოედანზე აშენებულია არტილერიისთვის სასახლე (თოფხანა), რომელიც გარს არტყია მოედანს სამ სართულათ, მოედანის თავში ფოსტაა და სპარსეთ-ინგლისის ბანკი. ამ მოედანს ყოველი მხრიდან უზარმაზარი კარები აქვს შეკიდული 6 ადგილას, საიდანაც ქუჩები გადის საზამთრო სასახლისაკენ და ჯარის სავარჯიშო დიდ მოედანზე.

აქედან იწყება სწორი ქუჩა, რომელსაც ცხენის რკინის გზა მიყვება და მიდის პირდაპირ ბაგეშახში. ქუჩის ორთავ მხარეს დიდრონი ხეები მისდევს რიგში, რომლის ფოთლები მტვრით არის სავსე. ქუჩაში მტვრის კორიანტელი ადის და სული გეხუთებათ, თვალები გევსებათ და ადამიანი აღარ სჩანს მტვრისაგან. ქუჩის თხრილები ნაგვითაა სავსე, აყროლებული ძაღლისა და კატის ლეში იქვე გდია. აგერ გაუხდია სპარსელს ტანზე პერანგი, დამჯდარა ქუჩის პირას „მზის ყურში“ და კბენარს ეძებს—ეთბობა... აგერ გამორბის თავის მტვრიან დუქნიდან „დაკაპიწებული“ სპარსელი დოქით ხელში და იქვე, ხალხის წინ ჩაჯდა ქუჩაში... მოდის რამდენიმე სახედარი, ზედ ტომრებით გადაკიდულია მოხარშული ჭარხალი; ჭრის დანით და ტომრებზე აწყობს, აცვივა მტვერი, გადაუვარდა ტალახში აიღებს და ყიდის!.. მოდის რამდენიმე სპარსელი სახედრებით შუა ქუჩაში, უცებ წაბორძიკდა სახედარი და პატრონიანა წაიქცა, სპარსელი არ ჩქარის, ის ნელა წამოიწია და ხალხი მიეხმარა სახედარის წამოყენებაზე. მასში სიმცქიტე, სიპარდე აღარ არის, ის დამონებულია და გადაშენების გზას ადგია. ადერბეიჯანის მცხოვრები ამ მხრივ მაღლა დგას. ქალებს პირზე სქელი მოქსოვილი შავი პირსაფარი აქვს აკრული, საიდანაც თვითონ გათვალიერებს და თქვენ არ შეგიძლიათ თქვენი მშობელი, ან მეუღლე იცნოთ, რადგან შავი ჩადრი და პირსაფარი ერთი ფერისაა—მთლათ გახვეულია შიგ. ქუჩა აქ მოკლებულია ცქრიალა, ტანად ქალებს.

ქუჩა ყოველგვარ სიბინძურის ბუდეა. მდიდრები ფეხით არ დადიან აქ და ფეხით სიარული საძრახისია—ეს ღარიბების წესია. აგერ მოაჭენებს რამდენიმე სპარსელი ცხენს, მოჭედილი ჯოხი უჭირავს ხელში და ყვირის: „ჰაბარდა!“ უკან ეტლი მოჰქრის, რომელშიაც რამდენიმე გასუქებული სპარსელი ზის, უკან ორი-სამი ცხენოსანი მოსდევს! ესენი არიან აქაური შეძლებული პირები. ასეთ „დიდკაცის“ გავლაზე ნახევრათ ტიტველი სპარსელები მათ უკან მისდევენ, მოწყალებას თხოულობენ და ხშირათ მოწყალების ნაცვლათ მხლებლის მათრახს ღებულობენ.

შემდეგ იწყება ლაპარაკი: ეს რომელი მდიდარია, რამდენი ბაღი აქვს, რომელ სასახლეში ცხოვრობს, რამდენი ცოლი ჰყავს, ან რამდენი ბიჭი და რა მორთულია მისი სასახლე.

აქედან წარმოსდგება სპარსეთის საარაკო ზღაპრები.

ორ-სართულიან სახლებს ქუჩისკენ ფანჯრები არ აქვს, ან თუ აქვს—ფიცრები ან ტილოები აქვს მიკრული—ქალები არავინ დაინახოსო!

პატარა ბავშვები კოჭამდე მტვერში თამაშობენ „კოჭს“ და მათი გაძინძული თმა, ჩამწვირული ფეხები მოწმობენ—თუ რა პირობებში იზრდებიან ისინი...

ვლასა მგელაძე

### კიდევ დრამა-ფულის შესახებ.

(წერილი გურიიდან)

(დასასრული)

ერთ ოჯახში მივედით,—სთქვა მეორემ,—ფული არ იყო. დარაჯმა ძროხას ჩაავლო ხელი. ამ დროს სახლიდან პატარა ქალი ხელ-მეორეთ გამოვიდა და სახლში შესვლა გვთხოვა. ლოგინიდან ვიღაცას ხმა და ხვეწნება მოგვესმა:—მოიდეთ მოწყალებ, არაფრის, გარდა, რძისა, ჭამა არ შემიძლია, ღვთის გულისთვის ნუ წაიყვანთ მაგ ძროხას, შეიძლება ჭლექმა მალე მომიღოს ბოლო და მერმე როგორც გნებოთ... დარაჯმა დაპარაკი გააწყვეტინა: „როგორც შენ, ისე უნდათ ღვდლებსაც ჭამაო.“

მერე, რა მაინც და მაინც მეწველე თხასა და ძროხას უპირებდით წაყვანას, შევეკითხე მე.

«დარაჯის აზრით, სახლიდან ისეთი რამე უნდა წაიღო, ან წაიყვანო გირაოთ, რომელიც პატრონს გულს დასწვავს და მალე დაიხსნისო», სთქვა პირველმა.

«როდესაც დარაჯი გაძალდა, მე თითონ შევპირდი სადამოსთვის ორი მანეთის შოვნას და ძლივ-ძლივობით ძროხა დავატოვებინეო“, სთქვა მეორემ.

ფულის აკრეფის დროს ორ-სამ სოფლის სამმართველოში მომიწია შესვლა; ისინი უფრო დუქნებს მოგვაგონებდათ: საბნები, ბალიშები, სპილენძის ჭურჭლები, სამოვრები, სელის სკამები, თქვენ წარმოიდგინეთ, თოხები და ცულებიც კი აწყვია იქ.

ჩემს გაკვირვებაზე მამასახლისებმა მიპასუხეს:—ნაბრძანები გვაქვს სამი დღის შემდეგ დავუბრუნოთ ყველა ეს ნივთები საჯაროთ გაჭრობით თუ პატრონებმა ამ ვადაში კუთვნილი ფული არ წარმოადგინეს.

როდესაც გაჭირვება უმაღლეს სავეხურამდის ავიდა, რწმუნებულებმა ტელეგრამები და წერილები აფრინეს დეპუტატ გეგეჭკორთან და შველა სთხოვეს.

სულიერმა მამებმა პილატესავით ხელი დაიბანეს: „ღმერთი, რჯული, ეს ადმინისტრაციის საქმეა“-ო. მერე მართალი გამოდგა ეს?.. დეპუტატის თხოვნამაც არ გასჭრა.

„რამოდენიმე თხოვნებს გიჩვენებთ ჩემ კანცელარიაში,—იყო პასუხი,—რომლებშიც მღვდლები დაჟინებით თხოულობენ დრამას; ეპისკოპოსებმაც შეგვაწუხეს, თორემ თქვენ თვითონ იფიქრეთ, განა ჩვენ სხვა საქმე არა გვაქვს, რომ დრამის ფულებზე თავი არ ვიტეხოთ“-ო.

ამ საუბრის გამოქვეყნებისთანავე მღვდლებიც და გლეხებიც ჟალუზე შესდგენ. პირველები გაიძახიან: «მტკნარი სიცრუეა, ჩვენ გუბერნატორისთვის თხოვნა არ მიგვიცია, მაშასადამე, ის ვერ იტყოდა ამას ჩვენზედო».

მეორენი უპასუხებენ: „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებსო“.

ზოგიერთი მღვდლები დროზე მიხვდენ თუ რა ცუდი შედეგი მოჰყვებოდა დრამის გადახდევინებას; ზოგი გულწრფელ მწუხარებას უცხადებს გლეხებს, მარა ასეთების რაოდენობა 5—7 % განისაზღვრება. ერთი ზარის ყიდვას ჰპირდება მრევლს, მეორე კიდევ სხვა რამეს, მარა განა ეს უშველის საქმეს?

შეიძლება ეს იყოს სურვილი და საშუალება ხალხის ჩაძაღბის, რომ გაისათ უფრო ადვილათ ჩაიჩხრიალონ დრამა.

დრამა ფულის სახით გურიაში ყოველწლიურათ უნდა მოგროვდეს 25—30 ათასი მან., ეს ხომ საკმარისია ორი საშუალო უფასო სასწავლებლისთვის? და განა მარტო გურია გვნესის ამ ბეგრით? თუ გამოვიანგარიშებთ, რამდენი ფული გროვდება დრამის სახით მთელს საქართველოში, ჩვენ მივიღებთ განსაცვიფრებელ რიცხვს.

ამიტომ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს, განსაკუთრებით ჩვენი დეპუტატების მხრით. გურულებს კიდევ აქვთ საშუალება ეს საკითხი უმაღლეს ინსტანციაში გადაიტანონ, მარა მის, გლეხკაცობის სასარგებლოთ შანსი ხომ ისევ ნაკლებია.

თხოვნის მიცემის შემდეგ გადის სამი თვე და გურულ გლეხ-კაცობას 1909 წლის ფულიც გადაახდევინეს და ვერც იმის ნებართვა მიიღეს, რომ ურილობებმა იმსჯელონ—საჭიროა თუ არა დრამის მიცემა მომავალ წლებში და შეუძლიათ თუ არა გლეხებს მისი მიცემა. პირიქით, ბევრი მღვდელი 5 წლის ნედოიმკების აღებასაც ლამობს და სიხარულის გამო პირი ნერწყვით ევსება. ზოგიერთმა მღვდლებმა დრამა უსამართლოთ გააწერეს. ვის უნდა გაეწეროს დრამა, ამის შესახებ ერთი ოფიციალური დოკუმენტი ასე ამბობს: «когда изъ одного крест. дыма будутъ образованы нѣсколько дымовъ на основ. разрѣшенія сельскаго схода, согл. 11 ст. пол. о сел. общ., то каждый изъ такихъ дымовъ обязанъ давать опредѣленное священнику содержаніе отдѣльно».

აქედან ის გამოდის, რომ დრამა ვერ გაეწერება ისეთ პირს, რომელიც ცალკე კომლათ არ არის დამტკიცებული ურილობის მიერ, რომელსაც ხმა არა აქვს ურილობაზე. მერე და ასე მოიქცენ მღვდლები? მაგ., ერთ კაცს თუ ხუთი მოზრდილი ვაჟი ჰყავს და ისინი ვერ დაეტიენ პატარა ქოხში და იმავე ეზოში კიდევ რამდენიმე ქოხი აშენეს, მღვდელს ისინი ყველა სიამი შეაქვს და ორორ მანეთს აწერს.

ამის შესახებაც ცალკე თხოვნით მიმართა რამდენიმე საზოგადოებამ ბ-ნ გუბერნატორს, რომ მოგროვებული ფული არ გადაეცათ მღვდლებისათვის, სანამ საქმეს არ გამოიძიებდენ, მაგრამ ამ თხოვნასაც პირველის ბედი ეწია.

რასაკვირველია, აქ ბრალი ბ-ნ მამასახლისებსაც ედებათ, რომლებიც ავტომატიურათ ასრულებენ ბრძანებებს ზევიდან. რას მიეწეროს ეს? მათ უვიცობა-გულგრილობას და დოსტოევსკის არ იყოს, „ლაკეიშჩინას“.

როდესაც სურების მამასახლისს ურილობის მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა მოწმობა მოსთხოვეს, მან უპასუხა: „თავიდან მომშორდით, თორემ ხელებ-გაკრულს გაგგზავნი შესაფერ ადგილზეო“.

ამაღლების მამასახლისმა ჯერ გასცა მოწმობა, მერე უკან გამოუდგა რწმუნებულებს და ძალით ჩამოართვა ის. ასევე „სასახელოთ“ მოიქცენ ნანეიშვილის, ზემოხეთის, შემოქმედის, გურიანთის, წიხნათის, მაქედ-გაბრიელის და აცანის მამასახლისები.

მღვდლებს თავის გასამართლებლათ საბალოჩინო ოლქების დადგენილებები მოჰყავთ, რომლებითაც ისინი სასურველათ არ სცნობენ დრამის გადახდევინებაში პოლიციის ჩარევას და იძულებითი ფულების გადახდევინებას. ეს დადგენილებები გურია-სამ. ეპისკოპოსს წარუდგენია ბ. გუბერნატორისათვის თავის შუამდგომლობასთან ერთად მარტში, 1908 წ.

ამნაირათ, სამღვდელოება ადმინისტრაციას აჩვევს თავზე დრამის გადახდევინებას, ადმინისტრაცია კი მღვდლებს, მარა—„ალია და ჰასანა ხომ ორივე თათარია“. **კრეპკიძე.**

## პროვინცია

**ს. ხიდისთავი.** (გურია) აქ არ არსებობს არავითარი ისეთი დაწესებულება, სადაც შეიძლებოდეს დრო გამოვლებით თავის მოყრა და სჯა-ბაასი ამა თუ იმ საჭირბოროტო კითხვებზე რაც ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს ყოველივე კულტურული საზოგადოებისთვის. ყოველ დღე აქ მოდის ოზურგეთიდან დილიჟანსი, რომელსაც მოაქვს როგორც წერილები, ისე ჟურნალ-გაზეთები. ამის გამო აქ ყოველ საღამოობით დილიჟანსის მოსვლის დროს თავს იყრიან აქაურები, უმთავრესათ კვირაობით. კვირა-უქმე დღეებში ჩვეულებრივზე ადრე გამოდიან და სეირნობენ, როგორც ბაღში, რომელიც ბაზარს აკრავს გვერდით, ისე თვით ბაზარში. აქ შეხვდებით როგორც ადგილობრივ, ისე ახლო-მახლო მკვიდრთ და ინტელიგენციას.

ამ უკანასკნელ ხანებში რამოდენიმე მოქეიფე ძმა-ბიჭების წყალობით (ყოველდღიური ქეიფი ადგილობრივ სამიკიტნოში სენათ გადაქცეულა) აქ ხშირათ ხდება აყალ-მაყალი ჩხუბი, არევ-დარევა, მოსეირნეებზე „თავდასხმა“ და სხვ. 22 ნოემბერს, ორმა ღვინით გალეშილმა რაინდმა გაიხმო ერთი მოსეირნეთაგანი (ინტელიგენტი) და სრულიად მოულოდნელათ დაუწყეს ცემა საზოგადოების თვალწინ. დამსწრე საზოგადოება მეტის მეტათ აღელვა რაინდების ამ შავრაზმულმა საქციელმა. მათგან ეს პირველი არაა. გვფიქრობთ, არც უკანასკნელი იქნება. თუ კიდევ განმეორდა ასეთი საქციელი, ჩვენ იძულებული ვიქნებით საქვეყნოთ გამოვაცხადოთ მათი სრული სახელი და გვარი.

ი—ბ—მ.

## სასამართლო

### ტრამვაის დირექტორის ბატაილის საქმე.

26 ნოემბერს მესამე განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია თფილისის ტრამვაის დირექ. ბ. ბატაილის და კონდუქტორის ბ. პულინის საქმე. პულინის მხრით გამოცხადდა ხუთი მოწმე, დირექტორის მხრით ორი. პულინის მოწმეებმა შემდეგი აჩვენეს: ჩვენ 9 კაცი გვყავდით მიწვეული თვით დირექციის მიერ 12 ოქტომბერს. დირექტორმა წინადადება მოგვცა გაგვეხილა ახალი პირობების პროექტი. როცა მივედით იმ მუხლზე, რომელიც ეხება ბილეთების გაყიდვას და სადაც ნათქვამია, რომ მგზავრს უნდა მიეცეს ბილეთის ყიდვის დროს მანეთის ხურდა და ვინც დაარღვევს ამ მუხლს, დაჯარიმებული იქნებაო, ბ. პულინმა განაცხადა: ჩვენ არ შეგვიძლია ასეთ პირობებზე ხელი მოვაწეროთ, რადგან ჩვენ მანეთის მეტს არ გვაძლევენ ხურდათ, ხშირათ არც ამას გვაძლევენ დილით. ვთქვათ, მიდის სამი მგზავრი; სამივემ მანეთიანები მოგვცა, მე კი მანეთის მეტი არა მაქვს, საიდან შემიძლია მე მაშინ ასეთი პირობის შესრულება. ეს მუხლი უხერხულია, შეუძლებელია მისი ცხოვრებაში გატარება და ამიტომ ხელს არ მოვაწერ ამ პირობაზეო. ამ სიტყვის გამო ბ. დირექტორმა ბ. პულინს პირადი შეურაცხყოფა მიაყენა და მკვახეთ უთხრა—„კაბინეთიდან“ გასულიყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ სთხოვა დარჩენილიყო. დირექტორის მოწამემ ბ. გისმა (დირექტორის თანაშემწე) აჩვენა, რომ თუ დირექტორმა შეურაცხყოფა მიაყენა ბ. პაულინს—ეს თვით პაულინის სიტყვებმა გამოიწვია. მან დირექტორს მატყუარა და «აფერისტი“ უწოდა. ამიტომ იყო დირექტორმა კაბინეთიდან გასვლის წინადადება მისცა მასო.

მოსამართლემ დირექტორი დამნაშავეთ იცნო და ერთი დღით დაპატიმრება, ან 10 მანეთი ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტა.

ეწ. კ.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


## გამოვიდა და იყიდება

საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში

— **კედლის კალენდარი 1910 წ.** —

შედგენილი **ზრ.** ჩარკვიანისაგან და გამოცემული „სორაპანი“-ს ამხანაგ. მიერ

ფასი 40 კაპ.

— **სახალხო კალენდარი** —

1910 წლ. შედგენილი მ. გაჩეჩილაძისაგან. ვინც ერთად არა ნაკლებ 50 ცალისას იყიდის %% დაეთმობა.

ადრესი: Тифлисъ т-во. „Сорапань“.

(15—4)